1. ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიამ მოიპოვა დაფინანსება ა(ა)იპ პროფესიული უნარების სააგენტოს ,,სტუდენტური და პრესტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში ორ პროექტში



2. სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა

სსიპ პროფესიული უნარების სააგენტოს დაფინანსებით შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია ქალაქ თბილისის 129 , ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის მეორე და აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ საჩხერის პირველ საჯარო სკოლებთან პარტნიორობით წარმატებით განახორციელა პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული უნარების კურსები.

პროექტის მიზანია მოსწავლეებს გააცნოს პრაქტიკოსი ექთნის ძირითადი პრინციპები, განავითაროს მოსწავლეებში პროფესიული უნარები, ასევე დაეხმაროს მოსწავლეებს თვითონ გაერკვიონ პროფესიაში რაც გაუმარტივებს პროფესიის არჩევის პროცესს.



3. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დაფინანასებით აკადემიამ განახორციელა სატენდერო პროექტები - „მულტინიგვური კომპეტენცია“ (ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა); და „პერსონალური და სოციალური კომპეტენცია“, რომლის ფარგლებშიც, დაწესებულებამ გადაამზადა 370 ბენეფიციარი.

   აღნიშნული პროექტის ფარგლებში N16 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფმა მსჯავრდებულებმა სამთვიანი ინგლისური ენის კურსი ონალაინ გაიარეს. მათ სერტიფიკატები გადასცა იუსტიციის მინისტრის მოადგილე ბუბა ლომუაშვილმა, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს უფროსმა ნინო ველთაურმა და ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის რექტორმა სოფიო მაჭარაშვილმა.